შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

# ტესტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

## V ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტი სამი ნაწილისაგან შედგება: I. ტექსტის რედაქტირება; II. არგუმენტირებული ესე; III. მხატვრული ტექსტის ანალიზი.

ტესტის ყოველი ნაწილის შესასრულებლად აუცილებელი ინსტრუქციები თან ახლავს შესაბამის დავალებებს.

**გაითვალისწინეთ,** ტესტის III ნაწილში მოცემულია ორი დავალება. უნდა აირჩიოთ და შეასრულოთ **ერთ-ერთი მათგანი** (დავალება N1 ან დავალება N2).

ტესტის მაქსიმალური ქულაა 70.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 3 საათი და 45 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!

## I. ტექსტის რედაქტირება (16 ქულა)

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი. გაასწორეთ მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური, პუნქტუაციური შეცდომები და სტილისტური ხარვეზები და ისე გადაწერეთ მთელი ტექსტი, რომ მისი შინაარსი არ შეცვალოთ.

*გაითვალისწინეთ,* ქულები დაგაკლდებათ თქვენ მიერ გადაწერილ ტექსტში დაშვებული თითოეული შეცდომის, ხარვეზისა თუ უზუსტობის გამო.

თუ ამოიწერთ მხოლოდ ცალკეულ ფორმებსა და შესიტყვებებს ან რამდენიმე წინადადებას, ნაშრომი არ შეფასდება.

# ეკატერინე მელიქიშვილი

ეკატერინე მელიქიშვილი გახლდათ თბილისის უნივერსიტეტის პირველი რექტორის, პეტრე მელიქიშვილის, და. ძმებისა და ნიკო ნიკოლაძის ხელშეწყობით მოხდა 19 წლის ეკატერინეს გაგზავნა შვეიცარიაში სადაც მან ჯერ გიმნაზია დაამთავრა ხოლო შემდეგ უმაღლესი სამედიცინო განათლება მიიღო.

ეკატერინე ევროპაში დიდი მონდომებით სწავლობდა, პარალელურათ კი იმ დროის მოწინავე იდეებს ეცნობოდა. სწავლის პერიოდში ეკატერინე დაუკავშირდა საზოგადოება „უღელს“ რომელიც ციურიხში მყოფმა ქართველმა სტუდენტობამ დააარსეს. ახალგაზრდებმა შეიმუშავეს ქართულ სკოლებისათვის სახელმძღვანელოების შედგენის გეგმა და ჩამოაყალიბეს მთარგმნელთა წრე რათა ქართველებს ევროპული კულტურის უკეთ გაცნობის შესაძლებლობა ჰქონოდათ.

ეკატერინე დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს საქართველოში მიმდინარე მოვლენებს და მრავალ მხრივ იყო ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მან და მისმა თანამოაზრეებმა დააფუძნეს ორგანიზაცია „განათლება“ რის ხელშეწყობითაც გაიხსნა არაერთი ქართული სასწავლებელი. „განათლებამ“ იმდენად გაითქვა სახელი რომ მეცენატთა ყურადღებაც მიიპყრო. სწორედ მათი დახმარებით შეძლო საზოგადოებამ ქალთა საშუალო სკოლისა და სამხატვრო სასწავლებელის შენახვა. ასევე გვინდა ავღნიშნოთ, რომ ეკატერინე ოდესის უნივერსიტეტშიც მოღვაწეობდა. იგი იყო ქალთა უმაღლესი კურსების გახსნის ინიციატორი და მისი პირველი დეკანი.

## II. არგუმენტირებული ესე (24 ქულა)

ამბიცია არის თვისება, რომელიც ადამიანს წარმატებისაკენ უბიძგებს, თუ გადაჭარბებული წარმოდგენაა საკუთარ შესაძლებლობებზე?

**ჩამოაყალიბეთ თქვენი თვალსაზრისი და არგუმენტირებული მსჯელობით დაასაბუთეთ.**

გააანალიზეთ წარმოდგენილი თვალსაზრისი, ჩამოაყალიბეთ თქვენი დამოკიდებულება ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

*გაითვალისწინეთ:*

*ნაშრომი არ გასწორდება, თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით.*

*ნაშრომი, რომლის მოცულობა <u>არ აღემატება 120 სიტყვას,</u> ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.*

## III. მხატვრული ტექსტის ანალიზი (30 ქულა)

**აირჩიეთ ქვემოთ მოცემული ორი დავალებიდან ერთ-ერთი და მხოლოდ ის შეასრულეთ!**

### დ ა ვ ა ლ ე ბ ა N 1

ილია ჭავჭავაძის პოემაში „მეფე დიმიტრი თავდადებული“ აღწერილია, თუ როგორ დაიბარა დემეტრე (დიმიტრი) II მონღოლთა ყაენმა ურდოში, უარის შემთხვევაში კი მას ქვეყნის აოხრებით დაემუქრა:

დაგვიღონდა მეფე ქველი,
იმ ურჯულოს მიხვდა წადილს,
ისიც იცის, – იმ ღვთისრისხვას
ჯართ სიმრავლე შესწევს ქადილს.
რა ჰქნას? თითონც მამაცია,
მამაციც ჰყავს ჯარი, ერი,
მაგრამ ერთს რომ ასი გცემდეს,
კლდეც რომ იყო, გაგტეხს მტერი.

დიდს ჩავარდა საგონებელს,
შეუდგა ბჭობას, რჩევასა...
– „წავალ – მომკლავს, და არ წავალ –
ამიოხრებს ქვეყანასა“.

ბოლოს ბძანა: „თავს მოვუყრი
მღვდელმთავართ და დიდებულთა,
ოცჯერ ზომვა, ერთხელ ჭრაო –
წესია მეფეთ ქებულთა...“

ბძანა და მსწრაფლ შეიყარნენ
დიდებულნი, მღვდელმთავარნი,
ვეზირნი და ნაზირები,
ბჭე-მდივნები, სპასალარნი...

უბრძანა, თუ „დიდებულნო,
საქმე მძიმე მაქვს თქვენთანა...
ის დღეა დღეს, – ან მე ვიყო,
ან ჩვენი ტურფა ქვეყანა.
შეიტყობდით, მომივიდა
მე ყეინის მოციქული,
აქ მოდიო, მე მიბარებს
ჩემზედ გაბოროტებული...
თუ წავედი, თქვენც ხომ იცით,

მე სიკვდილი არ ამცდება...
თქვენ რას მირჩევთ, მართალი სთქვით,
მართლის თქმაა ერთგულება“.

დიდებულნი წინ წამოდგნენ
ამ ამბით შეწუხებულნი,
მივიდნენ და თაყვანი სცეს,
აემღვრიათ მწარედ გულნი.

„– მეფევ! ნეტა რა გვიბძანე,
რა ასმინე ყურსა ჩვენსა!..
თუ შენ მოგკვლენ, შენს სანაცვლოდ
რაღა დარჩეს ერსა შენსა?!..
მტრის მუქარას ერი შენი,
გვითხარ, როდის გაჰქცევია,
გვითხარ, როდის ქვეყნის მტრის წინ
ქართლს უკან დაუწევია!
ბძანე და იმ მუქარასა
ჩვენს მოსისხლეს შევანანებთ,
ან შევმუსრავთ მამაპაპებრ,
ან მეფისთვის თავსა დავდებთ.
სირცხვილია ერისათვის,
თავის მეფე მისცეს მტერსა...

მეფევ, სირცხვილს ნუ შეაჭმევ
ერსა, შენსა შემნატვრელსა.
ნუ, ნუ გვაჭმევ ემაგ სირცხვილს,
წამყოლს შვილისშვილამდიე...
აქ მოვიდეს, მის დახვედრა
ამ ჩვენს ქედზე დააჭდიე“.

ახლა წადგა სპასალარი...
– „მეფევ, რაც სთქვეს, მართალია.
შენ წახვიდე, შენ იქ მოგკლან, –
ჩვენ წელზედ გვერტყას ხმალია?!
თუნდ რომ დავრჩეთ, ვინ რას გვეტყვის,
რით ჩავრეცხოთ ეს სირცხვილი?
არა, მეფევ!.. ძველებს უთქვამთ, -
სახელიო ან სიკვდილი.
ნუ შეგვიშლი მამათ ანდერძს,
სირცხვილისგან დაგვიხსენი!..
მეფეს ვფიცავ, – მამა-პაპებრ
დღესაც გასჭრის ხმალი ჩვენი“.

ბატონმა თავი ჩაჰკიდა
გვირგვინოსანი, ცხებული,
დიდხანს იყო დაღონებით

ეგრე თავჩაკიდებული...

ბოლოს ბძანა: – „ეს ქვეყანა
ღვთისაგან მაქვს მონაბარი...
მე დავრჩე და იგი წახდეს,
მითხარი, რა მადლი არი!..
ამდენი სული უბრალო
ტანჯვითა ამოწყდებიან,
საწყალის ხალხის ცოდვითა
ქვანიც კი ატირდებიან...
ეს სულ რისთვის? მარტო მისთვის,
რომ მე შიშსა გავექეცი,
ჩემი თავი გადვირჩინე
და ერი კი წყალს მივეცი.
მე მეფე ვარ და მეფობის
რიგიც ვიცი, რაში არი...
ფუ იმ მწყემსსა, თავს უშველოს,
მგელს დაუგდოს თავის ცხვარი...
სირცხვილს ამბობთ! – რა სირცხვილი?
მე ვეძლევი ნებით მტერსა,
ჩემს სიცოცხლეს, ჩემსა სისხლსა
თვითონ ვწირავ ჩემსა ერსა.
თუ სიკვდილი სახელად გაქვთ

მაგდენს ჩემთვის – ერთისათვის,
მაშ, რად მიშლით თავდადებას
მე ერთს – მთელის ერისათვის!..
არა! წავალ, არ დავდგები,
დე, ასრულდეს ნება ღვთისა,
ხორცი მოკვდეს, სული ცხონდეს
მეფის თქვენის დიმიტრისა“.

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

წერით დავალებას ახლავს სამი მითითება. ეს მითითებები უნდა შეასრულოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

**ნაწერი არ გასწორდება,** თუ მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურად არის გაგებული, ნაშრომი ტექსტის პერიფრაზია ან ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

**გაითვალისწინეთ,** ნაშრომი, რომლის მოცულობა *<u>არ აღემატება 120 სიტყვას,</u>* ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

**გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:**

- იმსჯელეთ მეფე დიმიტრის მხატვრული სახის შესახებ;
- იმსჯელეთ ტექსტის მთავარი სათქმელის შესახებ;
- იმსჯელეთ ავტორის სტილისა და ტექსტის მხატვრულ-გამომსახველობითი თავისებურებების შესახებ.

***თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!***

# დ ა ვ ა ლ ე ბ ა N2

## ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი დავით კლდიაშვილის მოთხრობიდან „სამანიშვილის დედინაცვალი“:

ვერ გადაათქმევინა პლატონმა ბეკინას მისი სურვილი და ამან მეტად აუმღვრია გული. სხვაც მიუგზავნა მამას ამის თაობაზე, მაგრამ ბეკინა გაჯიუტებაში ართმევდა შვილს მის საქციელს და არ იშლიდა თავის განზრახულებას. თვითონ დარწმუნებული იყო და ყველას არწმუნებდა, რომ მისგან დედაკაცს შვილი არ მიეცემოდა, რომ ღმერთი მის მოსიყვარულე შვილებს არა თუ დააკლებდა რასმე, შემატებდა კიდეც უსათუოდ. პლატონი ამ შემატებაზე ძალიან უარს ამბობდა, ოღონდ კი თავისი, რაც ხელში ეჭირა, მტკიცედ ჰკავებოდა; მაგრამ ბეკინა თავისას იმეორებდა და შეურყევლად იდგა თავის სიტყვაზე.

ერთი სიტყვით, ამ მხრით საქმე წაგებული იყო გამოუბრუნებლად. საჭირო იყო ისეთი რამ ხერხის ხმარება, რომ ბეკინას გულის წადილის ასრულებასთან, პლატონი იმედიანად ყოფილიყო, რომ თავის მიწის ორიოდე ნაფლეთი უკლებლად შერჩენოდა და დღესაც მის გასაძღომად ძლივს საკმარისი ლუკმა ორად არ გაჰყოფოდა.

– დევიღუპე... წმინდად დევიღუპე! – იძახოდა პლატონი. – წმინდად დევიღუპე, თუ რამე არ ვისაშველე, რამე არ ვიღონე!..

გამწარებული ყმაწვილი კაცის გულში ცეცხლი ტრიალებდა, მისი ტვინი წისქვილის ბორბალივით მოუსვენრად ბრუნავდა, რომ რამე ხერხი მოეგონა, „ძმურად“ არ გაჰყოფოდა მისი „სიმდიდრე“, რომ ახლანდელ მწირ ლუკმაზე შეჩვეულ კუჭს უფრო დამცირებულ ლუკმაზე შეჩვევა არ დასჭირვებოდა...

ქართული ანდაზაა: გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას განახვებო. პლატონ სამანიშვილი ქართველი კაცი იყო და ამასთან აზნაური.

– მამა! – მივიდა რამდენისამე დღის შემდეგ იგი ბეკინასთან, – მამა, რაკი ინებე ცოლის შერთვა და აღარ იშლი, ნება შენია, აწი რაღა მეთქმის... შენი ნებაა... მაგრამ ერთი სათხოვარი მაქვს და ამაზე არ გამაწბილებ, იმედია... უარს არ მეტყვი!

პლატონს ეტყობოდა, რომ წინანდელ ცუდ გუნებაზე აღარ იყო.

– რა იყო შვილო?.. ერთის მაგიერ ორი მითხარი!

– მომანდე ეგ საქმე მე... მე ამოგირჩევ ქალს!

ბეკინა გაკვირვებით მიაჩერდა შვილს.

– ღმერთმანი... მაშვალს თავი დაანებე და საშენო ქალს მე მოგინახავ! შენ ნუ მომიკვდები!

– შე კაცო, უწინ თავს იკლავდი, ნებას არ მაძლევდი და ახლა მაშვლათაც კი მიდგები! – ღიმილით მიმართა ბეკინამ შვილს და უნდობლად დაუწყო ცქერა. – რას მივაწეროთ ახლა ეგ, პლატონ?.. – გაიცინა ბეკინამ.

– რას უნდა მიაწეროთ?!

– მაინც, მაინც!.. მამაშვილობას, გამაგებიე, თუ გიყვარდე! – ჩაცივებით უთხრა დაინტერესებულმა ბეკინამ.

– ბატონო, თქვენი გულის წადილი ხომ აგისრულდებათ და!

– კი, მარა მაინც!.. მამაშვილობას, მითხარი! ჰა! შენს ცოლ-შვილს გაფიცებ!.. რა მოიგონე ახლა შენ?

– არაფერი, შენ არ მომიკვდე, იმისთანა, რომ შენი საწყენი იქნეს...

– ჰო!

– ქალს მოგინახავ იმისთანას, რომ არც შენი დასაწუნებელი იქნება და არც ჩემთვის საშიშარი...

– ჰო, ჰო! – აჩქარებდა გახალისებული ბეკინა. – ჰო!

– ახალგაზრდა ყმაწვილი ქალი, რასაკვირველია, შენი საქმე არაა.

– რასაკვირველია, მარა არც უკბილო დედაბერი ივარგებს, შე კაცო! – გაიცინა ბეკინამ.

– უკბილო დედაბერი ვის რად უნდა! ასე, ხნიერი დედაკაცი რომ იქნეს... მარა ისეთი, არავინ დაგვცინოს...

– ჰო, ჰო! – ეთანხმებოდა ბეკინა.

– ქვრივი...

– მაგასაც არა უჭირს რა!..

– ქვრივი, ორნაქმარები!

ამ უკანასკნელ სიტყვაზე პლატონიც შეჩერდა, მამას შეხედა და ბეკინაც მიაშტერდა გაკვირვებით შვილს.

– ჰო, ორნაქმარები!.. – გაიმეორა სიტყვა გაგრძელებით პლატონმა, – რა უნდა უჭირდეს?.. შენ არ მომიკვდე, არაფერი!

– რას ცუღლუტობ, შე კაი კაცო?! – თვალი თვალში გაუყარა ბეკინამ. – რას ცუღლუტობ, ვაჟბატონო?

– შენ არ მომიკვდე, შენთან მე არ ვცუღლუტობდე და არც გატყუებდე... შენ სრულიად წაგებული არ იქნები, დედის სული არ წამიწყდეს!.. ის კი არა, მოგებული დარჩები... მე მხვდება მეტი შრომა, თვარა შენ ქეც დამიმადლი მერე!.. გიამება, ბატონო, ახლა რომ შენმა ცოლმა ბავშვის ჭყვირილით გამოგიჭექოს ყურები?

– ეჰ... შენ კიდევ შენსას მოჰყვები!..

– ვინ იცის, ბატონო, ვინ იცის! ის არ ჯობია, რომ უფრო დაიმედებული იქნება ადამიანი?!

– ორნაქმარები დედაკაცი რაღა იმედია?

– რა იმედია და აი, მოგახსენებ... შენ ცოლი გინდა. მე კი მინდა, რომ მამულის გამყოფელი არ დეინახოს ჩემმა თვალებმა... თვითონ ამბობ, ყმაწვილი ქალი არ მინდაო... მოგინახავ სწორედ რიგიან ქალს, რომ ვერავინ დაგვცინოს, შენ ნუ მომიკვდები. ორნაქმარებს იმიტომ გეუბნები, რომ ქვრივებში ამოვარჩევ, გამოვნახავ იმისთანას, რომ ორ ქმარს ჰყოლოდეს და არც ერთთან შვილი არ მიცემოდეს... ორივე ქმრის ხელში რომ უშვილო დარჩენილიყოს... ამისთანა დედაკაცი სწორედ საიმედო იქნება შვილის უყოლობაზე... თუ ორ ქმართან შვილი არ მიცემია, შენთან რაღა ღმერთი გაუწყრება... ამრიგად, შენც მოსვენებული იქნები, მეც იმედიანად ვიქნები და ვიცხოვრებთ ისე, რავარც გვიცხოვრია... ამ ჩვენს წუთისოფელს ჩვენს წესზე ამგვარადვე გავატარებთ და ჩვენ მერმე რაც იქნება, ის ღმერთმა იცის და ჩვენმა მომავალმა!.. ესაა ჩემი თხოვნა... შენ არაფერი გაკლდება და ჩემთვის კი ისეთი საქმე იქნება, თუგინდ ჩემი მამულის ნახევარი ხელახლა შემეძინოს... მაინც ამით თუ შევინარჩუნებ, თვარა სხვა რა ძალა მაქვს, რა ღონე შემწევს? ამიტომ გთხოვ, მომანდო ეგ საქმე, მაშვალს თავი დაანებო... შრომა მე შემხვდება, მართალია, მარა რავა დეევერიდები?! უხეირო ქალს არ შემოვიყვან ოჯახში, ამაში პატიოსან სიტყვას გაძლევ!

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

წერით დავალებას ახლავს სამი მითითება. ეს მითითებები უნდა შეასრულოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

**ნაწერი არ გასწორდება,** თუ მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურად არის გაგებული, ნაშრომი ტექსტის პერიფრაზია ან ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

**გაითვალისწინეთ,** ნაშრომი, რომლის მოცულობა *არ აღემატება 120 სიტყვას,* ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

**გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:**

- იმსჯელეთ პლატონის მხატვრული სახის შესახებ;
- იმსჯელეთ ტექსტის მთავარი სათქმელის შესახებ;
- იმსჯელეთ ავტორის სტილისა და ტექსტის მხატვრულ-გამომსახველობითი თავისებურებების შესახებ.

***თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!***